

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყოველი წევრის თანდაყოლილი ღირსების, მათი თანაბარი და განუყოფელი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი;

აღიარებენ რა, რომ ეს უფლებები გამომდინარეობს ადამიანის თანდაყოლილი ღირსებიდან;

აღიარებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის იდეალის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთ პირობებში, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს პოლიტიკურ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით ისევე, როგორც სამოქალაქო უფლებებით;

ითვალისწინებენ რა, გაერთიანებული ერების წესდებით ნაკისრ სახელმწიფოთა ვალდებულებას წახალისონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა;

ითვალისწინებენ რა, თითოეული ადამიანის ვალდებულებას სხვა ადამიანებისა და იმ საზოგადოების მიმართ, რომელსაც ეკუთვნის, იღვწოდეს წინამდებარე პაქტით აღიარებულ უფლებათა წახალისებისა და დაცვისათვის;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად განსაზღვრებენ თავის პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად იღვწიან თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის.
2. ყველა ხალხს შეუძლია, თავისი მიზნის მისაღწევად, თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დაურღვევლად, გამომდინარე ურთიერთხელსაყრელობის პრინციპზე დამყარებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობიდან და საერთაშორისო სამართლიდან. არც ერთ შემთხვევაში არც ერთ ხალხს არ შეიძლება წაერთვას მისი კუთვნილი საარსებო საშუალებები.
3. ყველა ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფო, მათ შორის ისინი, რომლებიც პასუხს აგებენ არათვითმართვითი და სამეურვეო ტერიტორიების მართვისათვის, ხელს უწყობენ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციას და პატივს სცემენ ამ უფლებას, თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა.

ნაწილი II

მუხლი 2

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო იღებს ზომებს პატივი სცეს და უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე და მის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა ინდივიდისათვის წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებები. ყოველგვარი განსხვავების გარეშე, როგორც არის რასა, ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა რწმენა, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება ან სხვა გარემოება.
2. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, თუკი ასეთი არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით ან სხვა ზომებით, წინამდებარე პაქტის თანახმად ღებულობს აუცილებელ ღონისძიებებს, იმისათვის, რომ კონსტიტუციური პროცესისა და ამ პაქტის დებულებების შესაბამისად დაადგინოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რაც საჭიროა პაქტში აღიარებული უფლებების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.
3. თითოეული წევრი სახელმწიფო იღებს ზომებს:

- უზრუნველყოს, რომ თითოეულ პირს, ვისი აღიარებული უფლებები ან თავისუფლებები დაირღვა, ჰქონდეს ეფექტური დაცვის საშუალებები, დამოუკიდებლად იმისა ჩადენილი იყო თუ არა ასეთი დარღვევა პირისაგან ოფიციალურ რანგში;
- უზრუნველყოს, რომ თითოეულ პირს, რომელიც ითხოვს ეფექტური დაცვის საშუალებებს, ჰქონდეს უფლება დაცვის ასეთი საშუალებების დაუდგინოს კომპეტენტურმა სასამართლო, აღმასრულებელმა ან საკანონმდებლო ხელისუფლებამ, ან სხვა კომპეტენტურმა ხელისუფლებამ, რომელსაც სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით მინიჭებული აქვს ასეთი უფლებამოსილება, და უზრუნველყოს სასამართლო დაცვის საშუალებების სრულყოფა;
- უზრუნველყოს, რომ კომპეტენტური ხელისუფლებები ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 3

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის უფლება თანასწორად ისარგებლონ პაქტით გათვალისწინებული მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებებით.

მუხლი 4

1. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის ჟამს, რა დროსაც ერის არსებობა საფრთხეშია და რის შესახებაც ოფიციალურად ცხადდება, პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ მდგომარეობის სიმწვავის ზუსტად შესაბამისი ზომები ამ პაქტით გათვალისწინებული თავიანთი ვალდებულებებისაგან გადახვევით, იმ პირობით, რომ ასეთი ზომები შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ მათ ვალდებულებებთან და არ გამოიწვევს დისკრიმინაციას რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან სოციალური მდგომარეობის ნიშნით.

2. ზემოაღნიშნული დებულება არ შეიძლება გახდეს ამ პაქტის 6, 7, 8 (1 და 2 პუნქტები), 11, 15, 16 და 18 მუხლებისაგან რაიმე გადახვევის საფუძველი.
3. ამ პაქტის მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც თავად იყენებს გადახვევის უფლებას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს გაეროს გენერალური მდივნის მეოხებით იმ დებულებების შესახებ, რომელთაგან მან გადაუხვია და იმ მიზეზების შესახებ, რამაც გამოიწვია ასეთი გადახვევა. ასეთივე შეტყობინება კეთდება, იგივე საერთაშორისო შუამავლის მეოხებით, იმ თარიღის შესახებ, როდესაც სახელმწიფო შეწყვეტს ასეთ გადახვევას.

მუხლი 5

1. არაფერი ამ პაქტში არ შეიძლება განმარტებული იქნას, როგორც რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლება იმოქმედოს ან შეასრულოს რაიმე აქტი, რომლის მიზანია ამ პაქტში აღიარებული რომელიმე უფლების და თავისუფლების უარყოფა ან მათი შემცირება უფრო მეტად, ვიდრე ეს არის დაშვებული აღნიშნული პაქტით.
2. არ შეიძლება ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოში ადამიანის აღიარებული ან არსებული რომელიმე ძირითადი უფლების შეზღუდვა ან გაუქმება კანონის, ხელშეკრულების, მართველობითი აქტის ან ჩვეულების ძალით, იმ საბაბით, რომ ეს პაქტი არ აღიარებს ასეთ უფლებებს ან იგი აღიარებს მათ ნაკლები მოცულობით.

ნაწილი III

მუხლი 6

1. სიცოცხლის უფლება არის თითოეული ადამიანისაგან განუყოფელი უფლება. ეს უფლება დაცულია კანონით. არავის არ შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე.
2. ქვეყანაში, სადაც არ არის გაუქმებული სიკვდილით დასჯა, სიკვდილის განაჩენი შეიძლება გამოყენებული იქნას განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულისათვის თანახმად დანაშაულის ჩადენის დროისათვის ძალაში შესული კანონისა და ამ პაქტის დებულებათა და გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ კონვენციის შესაბამისად. ასეთი სასჯელი შეიძლება აღსრულებული იქნას კომპეტენტური სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების თანახმად.
3. როდესაც სიცოცხლის ხელყოფა წარმოადგენს გენოციდის დანაშაულს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ არაფერი ამ მუხლში არ აღჭურავს მონაწილე სახელმწიფოს უფლებით ამ პაქტის თანახმად რაიმე გზით დაარღვიოს ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც აღებული აქვს მას თანახმად კონვენციისა გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ.
4. ყოველ სიკვდილმისჯილს უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შემსუბუქება. ამნისტია, შეწყალება ან სიკვდილის განაჩენის შემსუბუქება შეიძლება ბოძებული იქნას ყველა შემთხვევაში.
5. სიკვდილის განაჩენი არ გამოიტანება პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა 18 წლის ასაკამდე და არ შეიძლება აღსრულებული იქნას ორსული ქალის მიმართ.

6. არაფერი ამ მუხლში არ შეიძლება გახდეს სიკვდილით დასჯის გადავადების ან გაუქმების აკრძალვის საფუძველი ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 7

არავის მიმართ არ შეიძლება გამოყენებული იქნას წამება ან სასტიკი, არაადამიანური ან მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი. კერძოდ, არავის მიმართ არ შეიძლება ჩატარებული იქნას სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტი მისი თავისუფალი ნების გარეშე.

მუხლი 8

1. არავინ არ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში; მონობა და მონით ვაჭრობა ყველა მისი ფორმით აკრძალულია.
2. არავინ არ შეიძლება იმყოფებოდეს დამონებულ მდგომარეობაში.
3. a. არავის არ შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო;
b. პუნქტი 3. ა) არ შეიძლება გახდეს დაბრკოლება საკატორღო სამუშაოების შესასრულებლად. კომპეტენტური სასამართლოს განაჩენით გამოტანილი სასჯელის საფუძველზე იმ ქვეყნებში, სადაც დანაშაულისათვის სასჯელის სახედ შეიძლება გამოყენებული იქნას თავისუფლების აღკვეთა საკატორღო სამუშაოებში ჩაბმით;
c. ამ პუნქტის აზრიდან გამომდინარე ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო“ არ მოიცავს:
 - რაიმე სამუშაოს ან სამსახურს, რომელსაც არ ითვალისწინებს პუნქტი b, და რომლის შესრულება ჩვეულებრივ მოეთხოვება დაკავებულ პირს ან პირობით განთავისუფლებულს გარკვეული ვადის განმავლობაში სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე;
 - სამხედრო სამსახურის პერიოდში ნებისმიერი სამხედრო ხასიათის სამუშაოს, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც სამხედრო სამსახურზე უარი პოლიტიკური და რელიგიურ-ეთნიკური მოტივებით აღიარებულია, სამხედრო სამსახურის შემცველი კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერ სამუშაოს;
 - ნებისმიერ სამსახურს, რომელიც გადაუდებლად საჭიროა საგანგებო მდგომარეობის ან უბედურებისას, როდესაც საფრთხე ემუქრება მოსახლეობის სიცოცხლეს ან კეთილდღეობას;
 - ნებისმიერი სამუშაო ან სამსახური, რომელიც შედის ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ ვალდებულებებში.

მუხლი 9

1. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ შეიძლება დაპატიმრებული ან დაკავებული იქნას თვითნებურად. არავის არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება გარდა კანონით დადგენილი საფუძველებით და პროცედურით.
2. თითოეულ დაპატიმრებულს დაპატიმრებისთანავე შეატყობინებენ მისი დაპატიმრების მიზეზებს და დაუყოვნებლივ აცნობებენ, თუ რაში ედება ბრალი.

3. თითოეული სისხლის სამართლის ბრალდებით დაპატიმრებული ან დაკავებული დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო უფლებამოსილებით აღჭურვილ სხვა თანამდებობის პირს და იგი უნდა გასამართლდეს გონივრულ ვადებში ან განთავისუფლდეს. სასამართლო განხილვის მომლოდინე პირის პატიმრობაში ყოფნა არ უნდა იყოს საერთო წესი. ამასთან, მისი სასამართლო განხილვამდე განთავისუფლება დაკავშირებული უნდა იქნას სასამართლოში მისი გამოცხადების გარანტიების წარდგენასთან, ისევე როგორც სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე გამოცხადების უზრუნველყოფასთან, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში გამოცხადებასთან განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით.
4. თითოეული, ვისაც აღეკვეთა თავისუფლება დაპატიმრების ან დაკავების გამო უფლებამოსილია წარდგეს სასამართლოს წინაშე იმისათვის, რომ სასამართლომ გადაუდებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დაკავების კანონიერების შესახებ ან გამოიტანოს განჩინება მისი განთავისუფლების შესახებ, თუ დაკავება არ იყო კანონიერი.
5. თითოეული, ვინც გახდა უკანონო დაპატიმრების ან დაკავების მსხვერპლი, აქვს უფლება სარჩელის კომპენსაციაზე.

მუხლი 10

1. ყველა თავისუფლებაშეზღუდულ პირს უნდა ეპყრობოდნენ ჰუმანურად და ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ღირსების პატივისცემით.
2. a. ბრალდებული პირები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, უნდა იზოლირებული იქნან მსჯავრდებული პირებისაგან და მათ უნდა ეპყრობოდნენ განსხვავებულად, როგორც არაბრალდებულებს.
b. ბრალდებული ახალგაზრდა პირები გამოყოფილი უნდა იყვნენ მოზრდილებისაგან.
3. პენიტენციური სისტემა უნდა მოიცავდეს პატიმრებთან მოპყრობის რეჟიმს, რომლის მთავარი მიზანია აღზრდა და სოციალური რეაბილიტაცია. ახალგაზრდა სამართალდამრღვევი მსჯავრდებულები გამოყოფილი უნდა იყვნენ მოზრდილებისაგან და მათთან მოპყრობა უნდა შეესაბამებოდეს მათ ასაკს და სამართლებრივ სტატუსს.

მუხლი 11

არავინ არ შეიძლება იმყოფებოდეს პატიმრობაში იმ საფუძველით, რომ მას უნარი არ შესწევს შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება.

მუხლი 12

1. სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ ყოველ პირს უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს ამ ტერიტორიის შიგნით და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი.
2. ყოველ პირს აქვს უფლება თავისუფლად დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა მისი საკუთარის ჩათვლით.

3. ზემოაღნიშნული უფლებები არ შეიძლება გახდნენ რაიმე შეზღუდვის ობიექტი იმ გამონაკლისის გარდა, რაც დადგენილია კანონით და აუცილებელია ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების და ამ პაქტით აღიარებული სხვა უფლებების დაცვისათვის.
4. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას საკუთარ ქვეყანაში შესვლის უფლება.

მუხლი 13

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი უცხოელი შეიძლება გაძევებული იქნას ქვეყნიდან მხოლოდ კანონის შესაბამისი გადაწყვეტილებით აღძრული დაენის აღსრულების საფუძველზე ან გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ეროვნული უშიშროების განსაკუთრებული საგარეო მოხეხები. ამასთან, მას უფლება აქვს მისთვის გაძევების მოტივების წარდგენაზე, მისი საქმის გადასინჯვაზე კომპეტენტური ხელისუფლების ან თანამდებობის პირის ან კომპეტენტური ხელისუფლებისაგან სპეციალურად ამისთვის დანიშნული პირების მიერ და ამ ხელისუფლების ან პირის ან პირთა წინაშე წარდგენაზე ამ მიზნით.

მუხლი 14

1. ყველა პირი თანასწორია სასამართლოების და ტრიბუნალების წინაშე. სისხლის სამართლის საქმეზე პირის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების ან სასარჩელო საქმეზე უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას, თითოეული პირი უფლებამოსილია საქმის სამართლიან და საჯარო განხილვაზე კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ. პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქმნას დაშვებული სამსჯავრო განხილვაზე მთლიანად ან მის ნაწილზე მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების მოსაზრებით დემოკრატიულ საზოგადოებაში, ან როდესაც ამას ითხოვს მხარეთა კერძო ცხოვრების ინტერესი ან იმ ზომით, რაც სასამართლოს აზრით, მკაცრად აუცილებელია ისეთი საგანგებო გარემოებების არსებობისას, როდესაც საჯაროობას შეუძლია ზიანი მიაყენოს სამართლიანობის ინტერესებს; მაგრამ ნებისმიერი გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე ან სასარჩელო საქმეზე ქვეყნდება საჯაროდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვანთა ინტერესები სხვას მოითხოვენ ან როდესაც საქმე ეხება მატრონომიალურ დაეებს ან მეურვეობას ბავშვებზე.
2. დანაშაულში ბრალდებულ პირს უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ, მანამ მისი ბრალი არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად.
3. პირის წინააღმდეგ დანაშაულში ბრალდების წარდგენისას, იგი უფლებამოსილია შემდეგ მინიმალურ გარანტიებზე სრული თანასწორობის დაცვით:
 - a. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დეტალურად იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების ხასიათისა და საფუძვლის შესახებ;
 - b. ჰქონდეს საკმარისი დრო და სათანადო პირობები დაცვის მოსამზადებლად და მის მიერ შერჩეულ მრჩეველთან ურთიერთობისა;
 - c. გასამართლდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

- d. გასამართლდეს მისი თანდასწრებით და დაიცვას თავი თვითონ ან მის მიერ შერჩეული ოფიციალური დამცველის მეშვეობით; იყოს ინფორმირებული, თუ არა ჰყავს ოფიციალური დამცველი, ასეთის ყოლის უფლების შესახებ; იყოლიოს დანიშნითი დამცველი ყველა შემთხვევაში, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესები ამას ითხოვენ ანაზღაურების გარეშე ყველა ასეთ შემთხვევაში და თუ მას არ აქვს საკმარისი სახსრები ასეთი დამცველის მომსახურების ასანაზღაურებლად;
 - e. დაკითხოს ან დაკითხული იქნენ ის მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ, ჩვენების მისაცემად გამოძახებული და დაკითხული იქნენ მისი მოწმეები იმავე პირობებში, რომლებშიც დაკითხნენ მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები;
 - f. დაუბრკოლებლად ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ის ენა ან ილაპარაკოს იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება სასამართლოში;
 - g. არ იყოს იძულებული მიცეს ჩვენება თავის საწინააღმდეგოდ ან აღიაროს ბრალი.
4. არასრულწლოვანთა საქმეებზე პროცესი უნდა იყოს ისეთი, რომ მხედველობაში იღებდეს წლოვანებას და ხელს უწყობდეს მათ გამოსწორებას.
 5. დანაშაულისათვის მსჯავრდებულ ყოველ პირს უფლება აქვს, რომ მისი ბრალდება და სასჯელი გადასინჯული იქნას ზემდგომი სასამართლოს მიერ კანონის შესაბამისად.
 6. თუკი რომელიმე პირი საბოლოო გადაწყვეტილებით მსჯავრდებული იქნა დანაშაულისათვის, მაგრამ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი შემდგომში გაუქმდა, ან იგი შეიწყალეს ახალი ან ახლად აღმოჩენილი ფაქტის გამო, რაც ადასტურებს სასამართლო შეცდომის არსებობას, მაშინ პირი რომელსაც დაედო სასჯელი, ასეთი ბრალდების გამო იღებს კომპენსაციას კანონის შესაბამისად, თუკი არ იქნა დამტკიცებული, რომ ეს უცნობი ფაქტი თავის დროზე არ იქნა აღმოჩენილი მთლიანად ან ნაწილობრივ მისივე ბრალით.
 7. არავინ არ შეიძლება გასამართლებული ან დასჯილი იქნეს განმეორებით დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი საბოლოოდ მსჯავრდებული ან გასამართლებული იყო შესაბამისი ქვეყნის კანონისა და სისხლის სამართლის შესაბამისად.

მუხლი 15

1. არავის არ შეიძლება დაედოს ბრალი რაიმე დანაშაულში განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებისათვის, რაც მისი ჩადენის დროისათვის ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის თანახმად არ შეადგენდა დანაშაულს. ასევე არ შეიძლება დაედოს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროისათვის გამოიყენებოდა. თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ საკანონმდებლო ნორმა დაადგენს უფრო მსუბუქ სასჯელს, სამართალდამრღვევი ისარგებლებს ასეთით.
2. არაფერი ამ მუხლში არ დააბრკოლებს პირის გასამართლებას და დასჯას განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედებისათვის, რაც მისი ჩადენის დროისთვის შეადგენდა დანაშაულს ერთა თანამეგობრობის მიერ აიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 16

თითოეულ ადამიანს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, უფლება აქვს მის აღიარებაზე სამართლის სუბიექტად.

მუხლი 17

1. არავინ არ შეიძლება განიცდიდეს პირად და საოჯახო ცხოვრებაში თვითნებურ და კანონსაწინააღმდეგო ჩარევას, საცხოვრებლის და კორესპონდენციის, პატივისა და რეპუტაციის კანონსაწინააღმდეგო ხელყოფას.
2. ყველას აქვს უფლება კანონის მხრიდან დაცვაზე ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 18

1. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება აზრის სინდისის ან რელიგიის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას სწამდეს ან იწამოს რელიგია ან მრწამსი ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად საჯარო ან კერძო წესით, შეასრულოს რელიგიური რიტუალი, ეწეოდეს ღვთისმსახურებას და ასწავლიდეს მოძღვრებას ღმერთის შესახებ.
2. არავინ არ შეიძლება განიცადოს იძულება, რომელიც შეზღუდავს მის თავისუფლებას სწამდეს ან იწამოს რელიგია ან მრწამსი თავისი მიხედვლებით.
3. რომელიმე რელიგია ან მრწამსი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით და როდესაც ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის ან სხვათა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დასაცავად.
4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა, აგრეთვე, როდესაც ეს დასაშვებია, კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას, უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური დან ზნეობრივი აღზრდა თავიანთი მრწამსის შესაბამისად.

მუხლი 19

1. თითოეულს აქვს უფლება დაუბრკოლებლად მისდიოს შეხედულებებს.
2. თითოეულს აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ნებისმიერი ხასიათის ინფორმაცია და იდეა საზღვრების მიუხედავად, როგორც ზეპირად, ისე წერილობით, ბეჭდვითი, ხელოვნების ფორმებით ან გამოხატვის სხვა საშუალებებით თავისი არჩევით.
3. ამ მუხლის მეორე პარაგრაფით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა აკისრებს განსაკუთრებულ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას. ამიტომ ამ უფლებებმა შეიძლება განიცადონ განსაზღვრული შეზღუდვები, მაგრამ ასეთი გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით და იყოს აუცილებელი:
 - a. სხვათა უფლებების და რეპუტაციის პატივსაცემად;
 - b. ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის, ან საზოგადოების ჯანმრთელობის ან მორალის დასაცავად.

მუხლი 20

1. ომის ნებისმიერი პროპაგანდა უნდა აიკრძალოს კანონით.
2. ნაციონალური, რასობრივი და რელიგიური სიძულვილის ქადაგება, რაც დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებაში გამოიხატება, უნდა აიკრძალოს კანონით.

მუხლი 21

უფლება მშვიდობიან შეკრებაზე აღიარებულია. ამ უფლების არავითარ შეზღუდვებს არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. გარდა იმისა, რაც ეკისრება პირს კანონის შესაბამისად და რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების და საჯარო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოების ჯანმრთელობის ან მორალის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 22

1. თითოეულს აქვს სხვებთან თავისუფალი ასოცირების უფლება, რაც მოიცავს პროფესიული კავშირების შექმნის და მათში გაერთიანების უფლებასაც თავისი ინტერესების დაცვისათვის.
2. ამ უფლებით სარგებლობის შეზღუდვას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, გარდა კანონით გათვალისწინებულისა, და რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საჯარო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის, საზოგადოების ჯანმრთელობის და მორალის ან სხვათა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად. ეს მუხლი არ აბრკოლებს საკანონმდებლო შეზღუდვების დაწესებას შეიარაღებული ძალების და პოლიციის წარმომადგენლებზე მათ მიერ ამ უფლებით სარგებლობისას.
3. არაფერი ამ მუხლში არ ანიჭებს უფლებამოსილებას მონაწილე – სახელმწიფოს „ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციაზე უფლების დაცვის შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის კონვენციის თანახმად, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ზომები ან ისე განახორციელოს კანონი, რომ ვნება მოუტანოს ამ კონვენციით გათვალისწინებულ გარანტიებს.

მუხლი 23

1. ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ბუნებრივ და ძირითად ჯგუფურ ერთეულს და უფლებამოსილია დაცული იქნეს საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან.
2. აღიარებულია საქორწინო ასაკის მამაკაცისა და ქალის უფლება ქორწინებაზე და ოჯახის შექმნაზე.
3. არც ერთი ქორწინება არ შევა ძალაში დასაქორწინებელ მეუღლეთა თავისუფალი და სრული თანხმობის გარეშე.
4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გადადგან სათანადო ნაბიჯები მეუღლეთა უფლებების და პასუხისმგებლობის თანასწორობის უზრუნველსაყოფად დაქორწინებისას, ქორწინების განმავლობაში და განქორწინებისას. განქორწინების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა ბავშვის აუცილებელი დაცვა.

მუხლი 24

1. ყოველ ბავშვს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, ეროვნების ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან დაბადების ნიშნით, აქვს უფლება ოჯახისაგან, საზოგადოებისაგან და სახელმწიფოსაგან დაცვის ისეთ ზომებზე, რომელსაც ითხოვს მისი როგორც არასრულწლოვანის სტატუსი.
2. ყოველი ბავშვი უნდა რეგისტრირებული იქნას დაუყოვნებლივ მისი დაბადების შემდეგ და უნდა ჰქონდეს სახელი.
3. ყოველ ბავშვს აქვს უფლება მოქალაქეობის შექენაზე.

მუხლი 25

ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა, ამ პაქტის მეორე მუხლში მოხსენიებული რაიმე დისკრიმინაციის გარეშე და ყოველგვარი დაუსაბუთებელი შეზღუდვის გარეშე:

- a. მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო საქმეთა გაძღოლაში, უშუალოდ თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით;
- b. აირჩიოს ან არჩეული იქნას პერიოდულ ნამდვილ არჩევნებზე, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, რაც უზრუნველყოფს ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოხატვას;
- c. დაშვებული იქნას სახელმწიფო სამსახურში თანასწორობის საერთო პირობების დაცვით.

მუხლი 26

ქვეყნებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობანი, პირებს, რომლებიც ეკუთვნიან ასეთ უმცირესობებს, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე ამ ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ საკუთარი კულტურით, იქადაგონ საკუთარი რელიგია და შეასრულონ ღვთისმსახურება, იხმარონ საკუთარი ენა.

მუხლი 27

ყველა პიროვნება თანასწორია კანონის წინაშე და უფლებამოსილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანასწორ დაცვაზე. ამ მიმართებით, კანონმა უნდა აკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და ყველა პიროვნებისათვის უზრუნველყოს თანასწორი და ეფექტური დაცვა დისკრიმინაციისაგან რასის, ფერის, სქესის, რელიგიის, ქონებრივი, დაბადების ან სხვაგვარი სტატუსის საფუძველზე.

ნაწილი IV

მუხლი 28

1. უნდა შეიქმნას ადამიანის უფლებათა კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“). იგი შედგება თვრამეტი წევრისაგან და განახორციელებს ამ პაქტით გათვალისწინებულ ფუნქციებს.
2. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებიც წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეები არიან, აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში აღიარებული კომპეტენცია, ამასთანავე გათვალისწინებულ უნდა იქნას იურიდიული გამოცდილების მქონე პირთა მონაწილეობაც.
3. კომიტეტის წევრები აირჩევიან და მუშაობენ პირადად.

მუხლი 29

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით იმ პირთა სიიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ 28-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომლებიც ამ მიზნით დაასახელეს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა.
2. ამ პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს არაუმეტეს ორი პირისა. ეს პირები უნდა იყვნენ ამ სახელმწიფოს მოქალაქენი.
3. ყველა პირს აქვს უფლება, რომ განმეორებით დაასახელონ.

მუხლი 30

1. პირველადი არჩევნები ეწყობა წინამდებარე პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ არაუგვიანეს ექვსი თვისა.
2. კომიტეტის არჩევნებამდე, გარდა 34-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებულ ვაკანსიათა შესავსები არჩევნებისა, სულ ცოტა ოთხი თვით ადრე გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი წერილობით სთხოვს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს, სამი თვის მანძილზე წარმოადგინონ კომიტეტის წევრთა კანდიდატურები.
3. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ანბანური წესით ადგენს ამგვარად დასახელებულ პირთა სიას, სადაც აღნიშნულია წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებმაც ეს პირი დაასახელეს, და უგზავნის მას წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს არჩევნების მოწყობის თარიღამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.
4. კომიტეტის წევრებს ირჩევენ წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იწვევს გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებებში. ასეთ სხდომაზე, რომლის კვორუმი წარმოადგენს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ორ მესამედს, არჩეულად ითვლება პირი, რომელმაც მიიღო ყველაზე მეტი ხმა და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.

მუხლი 31

1. კომიტეტში არ შეიძლება შევიდეს ერთი და იმავე სახელმწიფოს ერთზე მეტი მოქალაქე.
2. კომიტეტის არჩევნების დროს ითვალისწინებენ წევრთა სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების, სხვადასხვა ცივილიზაციისა და ძირითადი იურიდიული სისტემების წარმომადგენლობის პრინციპს.

მუხლი 32

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. მათ უფლება აქვთ ხელახლა იყვნენ არჩეული მათი კანდიდატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში. თუმცა პირველ არჩევნებზე არჩეული ცხრა წევრის ვადა იწურება ორ წლიანი პერიოდის დამლევს. პირველი არჩევნების შემდეგ დაუყოვნებლივ ამ ცხრა წევრის სახელებს წილისყრით განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე, რაც აღნიშნულია 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში.
2. რწმუნებათა ვადის გასვლის შემდეგ არჩევნები ტარდება პაქტის ამ ნაწილის წინა მუხლების შესაბამისად.

მუხლი 33

1. თუ სხვა წევრთა ერთსულოვანი აზრით, კომიტეტის რომელიმე წევრმა რაიმე მიზეზით შეწყვიტა თავისი ფუნქციების შესრულება, გარდა დროებით არყოფნის მიზეზისა, კომიტეტის თავმჯდომარე ამის შესახებ ატყობინებს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც ამ წევრის ადგილს ვაკანტურად აცხადებს.
2. კომიტეტის რომელიმე წევრის გარდაცვლების ან გადადგომის შემთხვევაში თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც ამ ადგილს ვაკანტურად აცხადებს გარდაცვალების დღიდან, ან იმ დღიდან, როდესაც გადადგომა ნამდვილი ხდება.

მუხლი 34

1. 33-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული ვაკანსია, და შესაცვლელი წევრის რწმუნებათა ვადა არ იწურება ამ ვაკანსიის გამოცხადებიდან ექვსი თვის მანძილზე, გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ამის შესახებ ატყობინებს წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია ორი თვის მანძილზე 29-ე მუხლის შესაბამისად წამოაყენოს კანდიდატურა ასეთი ვაკანსიის შესავსებად.
2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ანბანური წესით ადგენს ამგვარად წამოყენებულ პირთა სიას და წარუდგენს მას წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს. შემდეგი არჩევნები ვაკანსიის შესავსებად ეწყობა პაქტის ამ ნაწილის დებულებათა შესაბამისად.
3. 33-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული ვაკანსიის შესავსებად არჩეული კომიტეტის წევრი თანამდებობრივ მოვალეობებს ასრულებს იმ წევრის რწმუნების ვადის დარჩენილი ვადით, რომელმაც გაანთავისუფლა ადგილი კომიტეტის აღნიშნული მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 35

კომიტეტის წევრები იღებენ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ ანაზღაურებას გაერთიანებული ერების სახსრებიდან გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით, კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით.

მუხლი 36

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალსა და მატერიალურ სახსრებს წინამდებარე პაქტის შესაბამისად კომიტეტის ფუნქციათა ეფექტური განხორციელებისათვის.

მუხლი 37

1. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იწვევს კომიტეტის პირველ სხდომას გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებებში.
2. პირველი სხდომის შემდეგ კომიტეტი იკრიბება პროცედურული წესებით გათვალისწინებულ დროს.
3. ჩვეულებრივ კომიტეტი იკრიბება გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებებში ან გაერთიანებული ერების ჟენევის განყოფილებაში.

მუხლი 38

კომიტეტის თითოეული წევრი, სანამ თავის მოვალეობას შეუდგებოდეს, ღია სხდომაზე აკეთებს საჯარო განცხადებას, თავისი ფუნქციების მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შესრულების თაობაზე.

მუხლი 39

1. კომიტეტი საკუთარი თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით. შეიძლება მოხდეს მათი ხელახალი არჩევა.
2. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს, რომლებიც ინტერალია,უნდა ითვალისწინებდეს, რომ:
 - a. კომიტეტის თორმეტი წევრი შეადგენს ევორუმს;
 - b. კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 40

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას წარადგინონ მოხსენებები, წინამდებარე პაქტით აღიარებულ უფლებათა განხორციელებისათვის მათ მიერ დასახული ღონისძიებებისა და პროგრესის შესახებ, რომელსაც ამ უფლებათა გამოყენებაში მიაღწიეს:
 - a. შესაბამის მონაწილე სახელმწიფოთა მიმართ ამ პაქტის ძალაში შესვლიდან ერთი წლის მანძილზე;
 - b. ნებისმიერ შემთხვევაში, კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად.
2. ყველა მოხსენება წარედგინება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც მას განსახილველად უგზავნის კომიტეტს. მოხსენებაში უნდა

აღინიშნოს ის ფაქტორები და სიძნედეები, თუ ასეთი არსებობს, რომლებიც გავლენას ახდენენ წინამდებარე პაქტის განხორციელებაზე.

3. გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ შეუძლია დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს გაუგზავნოს მოხსენებათა იმ ნაწილების ეგზემპლარები, რომლებიც შეიძლება მათი კომპეტენციის სფეროს ეხებოდეს.
4. კომიტეტი სწავლობს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს, მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის თავის მოხსენებებსა და ზოგადი ხასიათის ისეთ შენიშვნებს, რომლებიც მიზანშეწონილად მიაჩნია, კომიტეტს შეუძლია აგრეთვე ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს მოხსენებათა ეგზემპლარებთან ერთად გაუგზავნოს შენიშვნები, რომლებიც მიიღო წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისაგან.

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კომიტეტს წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებანი ნებისმიერი შენიშვნის თაობაზე, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 41

1. ამ მუხლის შესაბამისად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ყოველთვის განაცხადოს, რომ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ინფორმაცია, სადაც რომელიმე მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს წინამდებარე პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობები კომიტეტმა შეიძლება მიიღოს და განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგინა მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხადება, რომ ცნობს ამ კომიტეტის კომპეტენციას. კომიტეტი არ იღებს არავითარ ცნობას, თუ ეს უკანასკნელი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება. ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ ცნობების განხილვა ხდება შემდეგი პროცედურის მიხედვით:
 - a. თუ წინამდებარე პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე სახელმწიფო არ ასრულებს წინამდებარე პაქტის დებულებებს, მას შეუძლია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოს. ამ შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვის მანძილზე მიმდებმა სახელმწიფომ წერილობით უნდა წარუდგინოს ასეთი ცნობის გამომგზავნ სახელმწიფოს განმარტება ან რაიმე სხვა განცხადება, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი, რომელიც შესაძლებლობის ან მიზანშეწონილობის ფარგლებში უნდა შეიცავდეს მითითებას შინაგანი პროცედურებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც სახელმწიფომ მიიღო, მიიღებს ან შეუძლია მიიღოს ამ საკითხზე;
 - b. თუ საკითხი ექვსი თვის მანძილზე არ გადაწყდა ორივე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებლად მას შემდეგ, რაც მეორე სახელმწიფომ მიიღო პირველი შეტყობინება, თითოეულ ამ სახელმწიფოს უფლება აქვს ეს საკითხი გადასცეს კომიტეტს, ამასთან უნდა შეატყობინოს მეორე სახელმწიფოს.

- c. კომიტეტი მისთვის გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად ამ შემთხვევაში სცადეს და ამოწურეს ყველა ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები. ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანურდება;
- d. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომებს;
- e. კომიტეტი „c“ ქვეპუნქტის დებულებათა დაცვით კეთილ სამსახურს უწევს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მეგობრულად გადაწყვიტონ საკითხი წინამდებარე პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის საფუძველზე;
- f. მის განსახილველად გადაცემულ ყველა საკითხზე კომიტეტმა „b“ პუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს შეიძლება სთხოვოს წარუდგინონ საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია;
- g. „b“ პუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ საკითხის განხილვისას წარმოდგენილი იყვნენ კომიტეტში და გააკეთონ წარდგინება ზეპირად ან წერილობით;
- h. შეტყობინების მიღებიდან თორმეტი თვის მანძილზე კომიტეტი „b“ პუნქტის შესაბამისად წარადგენს მოხსენებას:
 - i) თუ მიღწეულია გადაწყვეტილება „e“ ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მიკვლე შინაარსით;
 - ii) თუ გადაწყვეტილება „e“ ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მიღწეული არ არის, მაშინ კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტების მოკლე შინაარსით; მოხსენებას თან ერთვის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობითი წარდგინებანი და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერი.

თითოეულ ამ საკითხზე მოხსენება ეგზავნება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებები ძალაშია, მას შემდეგ რაც წინამდებარე პაქტის მონაწილე ათი სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. მონაწილე სახელმწიფოები ასეთი განცხადებების დეპონირებას ახდენენ გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან, რომელიც განცხადებების პირებს უგზავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს. გენერალური მდივნისათვის შეტყობინებით განცხადების უკან წაღება ყოველთვის შეიძლება. ასეთი მოქმედება ხელს არ უნდა უშლიდეს რომელიმე საკითხის განხილვას, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული შეტყობინების საგანია. მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას, რომ განცხადება უკან წაიღეს, აღარ მიიღება მონაწილე სახელმწიფოს არავითარი შემდგომი ცნობები, თუ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს არ გაუკეთებია ახალი განცხადება.

მუხლი 42

- თუკი რომელიმე საკითხი, რომელიც კომიტეტს 41-ე მუხლის შესაბამისად გადაეცემა, დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთათვის დამაკმაყოფილებლად არ გადაწყდება, კომიტეტს შეუძლია დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წინასწარი თანხმობით დანიშნოს სპეციალური შემათანხმებელი კომისია (შემდგომში „კომისია“). კომისია სამსახურს უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, წინამდებარე პაქტის დებულებათა დაცვის საფუძველზე საკითხების მეგობრულად გადაწყვეტის საქმეში.
 - კომისიის შემადგენლობაში შედის დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთათვის მისაღები ხუთი პირი. თუ სამი თვის მანძილზე მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ კომისიის მთელი შემადგენლობისა თუ შემადგენლობის ნაწილის თაობაზე, კომისიის იმ წევრებს, რომელთა დანიშვნის თაობაზე ვერ მიაღწიეს თანხმობას, ირჩევენ ფარული კენჭისყრით კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან კომიტეტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.
- კომისიის წევრები მოვალეობას ასრულებენ პირადად. ისინი არ უნდა იყვნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების ამ იმ სახელმწიფოს მოქალაქენი, რომელსაც არ გაუკეთებია განცხადება 41-ე მუხლის შესაბამისად.
- კომისია ირჩევს თავჯდომარეს და ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს.
- კომისიის სხდომები ჩვეულებრივ ეწყობა გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებასა და გაერთიანებული ერებისათვის მოსახერხებელ ადგილებში, რომლებიც კომისიამ შეიძლება განსაზღვროს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან და შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან კონსულტაციით.
- 36-ე მუხლით განსაზღვრული სამდივნო ემსახურება ამ მუხლის საფუძველზე დანიშნულ კომისიებს.
- კომიტეტის მიერ მიღებული და შესწავლილი ინფორმაცია კომისიის განკარგულებაში გადაეცემა, და კომისიას შეუძლია სთხოვოს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს, წარუდგინონ საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია.
- კომისიის მიერ საკითხის სრულად განხილვის შემდეგ, მაგრამ საკითხის გადაცემიდან არაუგვიანეს 12 თვისა, იგი კომიტეტის თავჯდომარეს დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოებისათვის გასაგზავნად წარუდგენს მოხსენებას:
 - თუ კომისიას არ შეუძლია დაამთავროს ამ საკითხის განხილვა თორმეტი თვის მანძილზე, იგი მოხსენებაში მოკლედ აღნიშნავს, თუ რა მდგომარეობაშია ამ საკითხის განხილვა;
 - თუ მიღწეულია ამ საკითხის მეგობრული გადაწყვეტა წინამდებარე პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, კომისია თავის აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, კომისია თავის მოხსენებაში სჯერდება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსს;

- c. თუ „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილება მიღწეული არ არის, კომისიის მოხსენება შეიცავს მის დასკვნებს ფაქტობრივი ხასიათის ყველა საკითხის შესახებ, რომელიც ეხება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა დაცვას, და კომისიის მოსაზრებებს ამ საკითხის მეგობრულად მოგვარების შესაძლებლობის შესახებ. ეს მოხსენება აგრეთვე შეიცავს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობით წარდგინებასა და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერს;
 - d. თუ კომისიის მოხსენება წარმოდგენილია „c“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ამ მოხსენების მიღებიდან 3 თვის მანძილზე ატყობინებენ კომიტეტის თავმჯდომარეს ეთანხმებიან თუ არა კომისიის მოხსენების შინაარსს.
8. ამ მუხლის დებულებები არ აკნინებენ 41-ე მუხლით გათვალისწინებულ კომიტეტის მოვალეობებს.
 9. დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები თანაბრად ანაზღაურებენ კომისის წევრთა ყველა ხარჯებს იმ ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც წარმოადგენს გაეროს გენერალური მდივანი.
 10. გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში აანაზღაუროს კომისიის წევრთა ხარჯები მანამ სანამ ამ მუხლის მე-9-ე პუნქტის შესაბამისად აანაზღაურებდნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები.

მუხლი 43

კომიტეტისა და 42-ე მუხლის შესაბამისად დანიშნული სპეციალური შემათანხმებელი კომისიის წევრები სარგებლობენ გაეროს მიერ მივლინებაში გაგზავნილ ექსპერტთა შეღავათებით, პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, როგორც ეს გათვალისწინებულია გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების კონვენციის შესაბამის ნაწილებში.

მუხლი 44

წინამდებარე პაქტის განხორციელების დებულებები გამოყენებული უნდა იყოს ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ ადამიანის უფლებათა პროცედურებს, რომლებსაც ითვალისწინებს გაეროსა და სპეციალიზირებულ დაწესებულებათა დამფუძნებელი აქტები და კონვენციები, ან ეს დებულებები ხელს არ უნდა უშლიდეს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს მიმართონ დავის გადაწყვეტის სხვა პროცედურებს, მათ შორის მოქმედ საერთო და სპეციალურ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

მუხლი 45

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საშუალებით კომიტეტი გაეროს გენერალურ ასამბლეას წარუდგენს თავისი საქმიანობის ყოველწლიურ მოხსენებას.

ნაწილი V

მუხლი 46

წინამდებარე პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული, როგორც გაეროს წესდებისა და გაეროსა და მის სპეციალიზებულ დაწესებულებათა სხვადასხვა ორგანოების შესაბამის მოვალეობათა განმსაზღვრელი წესდებების დებულებათა მნიშვნელობის დაკნინება იმ საკითხებში, რომლებსაც ეს პაქტი ეხება.

მუხლი 47

წინამდებარე პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული, როგორც ხალხის განუყოფელი უფლების დაკნინება მთლიანად და თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და რესურსებით.

ნაწილი VI

მუხლი 48

1. წინამდებარე პაქტი ხელმოსაწერად ღიაა გარეოს ან ყველა მისი სპეციალიზებული დაწესებულების წევრი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, აგრეთვე საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე ყველა სახელმწიფოსა და ყველა სხვა სახელმწიფოსათვის, რომელსაც გაეროს გენერალური ასამბლეა შესთავაზებს წინამდებარე პაქტში მონაწილეობას.
2. ეს პაქტი საჭიროებს რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებული უნდა იყოს გაეროს გენერალურ მდივანთან.
3. წინამდებარე პაქტი მისაერთებლად ღიაა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.
4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაეროს გენერალურ მდივანთან.
5. გაეროს გენერალური მდივანი ატყობინებს ამ პაქტის ხელმომწერ და მიერთებულ ყველა სახელმწიფოს თითოეული სარატიფიკაციო სიგელისა თუ დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 49

1. ეს პაქტი ძალაში შედის 3 თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაეროს გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება 35-ე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.
2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე პაქტის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას 35-ე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს პაქტი ძალაში შედის 3 თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი საკუთარი სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

მუხლი 50

წინამდებარე პაქტის დებულებები ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

მუხლი 51

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორებები და წარუდგინოს ისინი გაეროს გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემდეგ შემოთავაზებულ შესწორებებს უგზავნის წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყობინონ მომხრე არიან თუ არა ამ წინადადებათა განსახილველად და მათთვის კენჭის საყრელად მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევის. თუ მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა მესამედი მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას გაეროს გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაეროს ეგიდით. ყველა შესწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა დასამტკიცებლად წარუდგენენ გაეროს გენერალურ ასამბლეას.
2. შესწორებები ძალაში შედის მას შემდეგ რაც მათ დაამტკიცებს გაეროს გენერალური ასამბლეა და თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა – 2/3.
3. შესწორებების ძალაში შესვლის შემდეგ ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება წინამდებარე პაქტის დებულებები და მათ მიერ მიღებული ყველა წინა შესწორებები.

მუხლი 52

48-ე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად შეტყობინებისგან დამოუკიდებლად გაეროს გენერალური მდივანი იმავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს ატყობინებს შემდეგს:

- a. 48-ე მუხლის თანახმად ხელმოწერების რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ;
- b. 49-ე მუხლის თანახმად წინამდებარე პაქტის ძალაში შესვლის თარიღს და 51-ე მუხლის თანახმად ყოველგვარი შესწორებების ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი 53

1. ეს პაქტი, რომლის ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანული და ჩინური ტექსტები ერთნაირად ავთენტურია, შესანახად გადაეცემა გაეროს არქივს.
2. გაეროს გენერალური მდივანი წინამდებარე პაქტის დამოწმებულ პირებს უგზავნის 48-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.